ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№3(95)

მარტი
2022 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია წელს, 31 მარტს, 83 წლის გახდებოდა

საქართველოს პირველი პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული გმირი, მეცნიერ-ფილოლოგი, მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, 1939 წლის 31 მარტს თბილისში დიდი ქართველი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში დაიბადა.

დასასრული მე-7 გვერდზე

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადს მოაწერა ხელი

2022 წლის 3 მარტს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადს ხელი მოაწერა.

როგორც მთავრობის მეთაურმა მოქალაქეებისადმი მიმართვისას განაცხადა, „დღეს ისტორიული დღეა საქართველოსთვის. ქვეყნის სახელით ხელს ვაწერ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს. ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე – ეტაპი, რომელიც ჩვენი ისტორიის ახალ ფურცელს შლის და აგრძელებს ჩვენი წინაპრების ძალისხმევას, რომელიც საერთო ევროპულ ოჯახში გაერთიანებისკენ იყო მიმართული“, – განაცხადა მან.

პრემიერ-მინისტრის მიმართვა ვრცლად იხილეთ მე-4 გვერდზე.

საქართველოში ამერიკის შეერთებულ შტატებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 30 წლის იუბილე აღინიშნა

5

თურქეთიდან უკვე 50-ზე დასახელების პრეპარატია იმპორტირებული და მათი ფასი 60-80%-ით არის შემცირებული

4

სოლიდარობა უკრაინელ ხალხს...

ახალგორის მუნიციპალიტეტში უკრაინელთა დასახმარებლად ჰუმანიტარული აქცია მიმდინარეობს

2

25 მარტი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეა

8

დამწვარი ხატები და ორმოში ჩაყრილი ძველი წიგნები

9

ბედი ლარგვისის მონასტერში შემონახული ქართული საგანძურისა

რედაქტორის ფიქრები

2

წერეთლის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მარტი აქტიურად გაატარეს

კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო რეგულაციები კიდევ შემსუბუქდა

4

რედაქტორის ფიქრები

არა ომს! დიდება გმირებს! დიდება უკრაინას!

თვე და ერთი კვირა გავიდა რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან... თავისუფალი და მშვიდობიანი ქვეყნის წინააღმდეგ რუსი ოკუპანტების მიერ გაჩაღებულმა ომმა ნანგრევებად აქცია უკრაინის რამდენიმე ქალაქი, დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის, 150-მდე ბავშვი... უკრაინა გმირულად ებრძვის მტერს. არ გამართლდა პროგნოზი, რომ მტერი ომის დაწყებიდან 96 საათის შემდეგ შეძლებდა დედაქალაქ კიევის აღებას... უკრაინელებმა, თავინთი პრეზიდენტისა და

მთავრობის ხელმძღვანლობით გასაოცარი წინააღმდეგობა გაუწიეს ოკუპანტს და ბრძოლის სასწორი სათავისოდ შეაბრუნეს... დიდძალ სამხედრო შეიარაღებასთან ერთად რუსეთმა ამ ომში დაკარგა 17 ათასზე მეტი სამხედრო მომსამსახურე, რუსულ ჯარს დაკარგული აქვს მოტივაცია, რომელიც არც მაინცდამაინც ომის დაწყებისას გააჩნდათ. თითქმის მთელი მსოფლიო გულშემატკივრობს უკრაინას და ეხმარება, როგორც შეუძლია. მსოფლიოს ლიდერმა ქვეყნებმა არნახული სანქციები დაუწესეს რუსეთს, როგორც აგრესორსა და ოკუპანტს, თუმცა, ომის ბედი ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი, პუტინს მარცხის აღიარება არ სურს...

უკრაინის მიმართ სოლიდარულია ჩვენი ომგამოვლილი ქვეყანაც. ყველგან ლურჯ-ყვითელი ფერები... ყველგან გულწრფელი თანაგრძნობის გამოხატვა, სოლიდარობა, ლოცვა, ნატვრა: დამთავრდეს ეს საშინელი ომი უკრაინაში, სადაც 4 მილიონამდე ლტოლვილი გავიდა ქვეყნიდან, სადაც ათასობით ჯარისკაცის გულის ფეთქვა შეჩერდა თავისი სამშობლოს დაცვისას, სადაც საშინელი ომია... ყველას პირზე აკერია: შეწყდეს უდანაშულო ადამიანების სიკვდილი უკრაინაში... სოლიდარობა უკრაინელ ხალხს...

იგზავნება ჰუმანიტარული დახმარება, ტელეეკრანებისკენაა მიპყრობილი ყველას ყურადღება...

ჯერ კოვიდისაგან მოყენებული სტრესი არ მოგვინელებია... ვუყურებთ ომის შემზარავ კადრებს (ვიღას გვახსოვს კორონა ან ჩვენი თავი) და თვალწინ გვიცოცხლდება 2008 წლის აგვისტოს ომის მოგონებანი, კინოკადრებივით რომ გვისერავს გულს უკვე 14 წელია, მაგრამ ამ დღეებში მეტი სიმძაფრით გვახსენებს თავს...

საკუთარი სახლ-კარიდან აყრილები, ცხინვალში პირტიტველა ბიჭების სამშობლოსთვის შეწირული სიცოცხლე, შაოსანი დედები, ძმათა სასაფლაო, უსახლკაროდ და ულუკმაროდ დარჩენილი ათი ათასობით ოჯახი... თბილისთან 40 კილომეტრზე მდგარი ოკუპანტის ჯარი...

14 წელია თითქოს ბევრია, მაგრამ წამია ისტორიისათვის... დევნილთა დასახლებაში ჩვენთვის აშენებულ კოტეჯებში კი ვცხოვრობთ და თითქოს ამოვისუნთქეთ კიდეც, მაგრამ ჩვენი თვალსამოთხე ახალგორი, როგორც „დედის ძუძუ“, „არ გაიცვლების“ არც წეროვანზე, არც ფრეზეთსა და წილკანზე და არც დიდებულ ქალაქურ ცხოვრებაზე...

გაგრძელება მე-6 გვერდზე

სოლიდარობა უკრაინელ ხალხს...

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი შეხვდა სამსახურის უფროსებს 1/ა/იპ-ების ხელმძღვანელებს და რწმუნებულებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრა უკრაინისათვის სოლიდარობის გამოხატვასა და ჰუმანიტარული დახმარების გაწევას ეხებოდა.

ახალგორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ყველაზე უკეთესად გვესმის ომის საშინელება და ის მდგომარეობა, რომელშიც დღეს უკრაინელი ხალხი იმყოფება. გამოვხატავთ რა სოლიდარობას უკრაინის მიმართ, გთხოვთ, შევიტანოთ ჩვენი წვლილი უკრაინელი ხალხის დასახმარებლად. – თქვა შეხვედრაზე ნუგზარ თინიკაშვილმა.

მუნიციპლიტეტის შენობაში პირველ სართულზე გამოიყო ადგილი, სადაც თითოეულ ადამიანს, ოჯახს, დაწესებულებას, ბიზნესსექტორს და ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს უკრაინის დასახმარებლდ ჩაერთონ ჰუმანიტარულ აქციაში.

ჰუმანიტარულ აქციას ერთ-ერთი პირველები გამოეხმაურნენ ახალგორის მუნიციპალიტეტის თანამშრომელი ქალები, რომელთავ უარი თქვეს მუნიციპალიტეტის მიერ გაკეთებულ სარვამარტო საჩუქრებზე და ეს საჩუქრები გულწრფელ თანადგომასთან ერთად გაუგზავნეს უკრაინელ ქალებს.

ახალგორი

ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279

თურქეთიდან უკვე 50-მდე დასახელების პრეპარატია იმპორტირებული და მათი ფასი 60-80%-ით არის შემცირებული

როგორც ჩვენი მოქალაქეებისთვის ცნობილია, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, თურქული ფარმაცევტული ბაზარი გაიხსნა, რის შედეგადაც თურქეთიდან, უკვე 50-მდე დასახელების პრეპარატია იმპორტირებული და მათი ფასი 60-80%-ით არის შემცირებული.

„ჩვენ, დაპირებისამებრ, დავიწყეთ წამლების გაიაფების პროცესი; გავხსენით თურქეთის ბაზარი იმ დათქმით, რომ მხოლოდ „ჯი-ემ-პის“ სტანდარტის მაღალი ხარისხის წამლები შემოვიდოდა, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, წამლები უკვე შემოსულია საქართველოში, ხელმისაწვდომია აფთიაქებში და იყიდება რამდენიმე დასახელების ყველაზე მოთხოვნადი მედიკამენტი.

„ყველაზე მოთხოვნადი წამლები, მაგალითად, გულსისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო მედიკამენტის ფასი თუ მანამდე იყო 220 ლარი, დღეს მისი ღირებულება არის 48 ლარი. უმეტეს შემთხვევაში, 60-80%-ით არის შემცირებული ფასები მედიკამენტებზე და როგორც მინიმუმ, განახევრებულია ფასები, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან გვიხარია... ამას გარდა, ათობით სხვადასხვა დასახელების მედიკამენტზე არის უკვე სამინისტროში შეტანილი განაცხადები რეგისტრაციისთვის და ეს პროცესი დაჩქარდება, რათა კიდევ უფრო დროულად მოხდეს ყველა წამლის ჩანაცვლება და მოსახლეობას ჰქონდეს არჩევანი, უფრო იაფიანი წამლის შესაძენად. რაც მთავარია, თავიდანვე ვთქვით, რომ ჩვენი მთავარი მოთხოვნა იქნებოდა ხარისხი და ეს ხარისხი არის მიღწეული. ყველა ის წამალი, რომელიც შემოვიდა თურქეთიდან, იქნება და არის „ჯი-ემ-პის“ სტანდარტის. ამ პროცესს ჩვენ მაქსიმალურად გავაკონტროლებთ“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

იაფი მედიკამენტები „ფარმადეპო“-ს, „ავერსი“-ს და „ჯშჯ“-ს ქსელშია ხელმისაწვდომი.

მედიკამენტ ქსარელტოს შეძენა შესაძლებელი იქნება „GPC”-ს მთელ ქსელში. იგივე მედიკამენტი ხელმისაწვდომია „ფარმსახლი“-ს სააფთიაქო ქსელშიც.

ასევე, გვსურს მოსახლეობას ვაცნობოთ, რომ თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტების შეძენისას, არაკეთილსინდისიერი ქმედებების აღკვეთის მიზნით, ჯანდაცვის სამინისტროში მოქმედებს ცხელი ხაზი

1505

იმ შემთხვევაში, თუ თურქეთიდან იმპორტირებული პრეპარატის შეძენისას სააფთიაქო ქსელებში შეგექმნათ გარკვეული ბარიერი, ფარმაცევტული კომპანიისგან ვერ მიიღეთ ინფორმაცია მედიკამენტის სარეალიზაციო ადგილისა და ღირებულების შესახებ, პრეტენზიის დასაფიქსირებლად გთხოვთ დაუკავშირდეთ ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს 1505 ან გადმოგზავნოთ ინფორმაცია სამინისტროს ელექტრონულ ფოსტაზე info@moh.gov.ge. **სამინისტროს შესაბამისი სამსახური ფაქტზე დაუყოვნებლივ რეაგირებას მოახდენს.**

კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო რეგულაციები კიდევ შემსუბუქდა

28 მარტიდან უქმდება ღია სივრცეში პირბადის ტარების ვალდებულება და სხვა მოქმედი რეგულაციები, - აღნიშნული გადაწყვეტილება უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ ცოტა ხნის წინ მიიღო.

საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, 28 მარტიდან, პირბადის ტარების ვალდებულება შენარჩუნდება მხოლოდ დახურულ სივრცეებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

უქმდება სტუმრების რაოდენობაზე მოქმედი შეზღუდვა, როგორც საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე, ასევე სპორტულ, სახელოვნებო თუ სხვა სახის ღონისძიებებზე, მათ შორის სოციალურ ღონისძიებებზე.

დისტანციურ სამუშაო რეჟიმში მყოფი საჯარო მოხელეები სამუშაო ადგილებს დაუბრუნდებიან.

ამასთანავე, უქმდება თვითიზოლაციის ვალდებულება საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ქვეყანაში PCR-ტესტის გარეშე ბრუნდებიან. ასევე, აპრილის განმავლობაში გაგრძელდება ვაქცინაციის წახალისების პროგრამა, რომლის თანახმად, 50 წელს ზემოთ ასაკის მოქალაქეები ვაქცინის პირველი დოზით აცრის შემთხვევაში 200 ლარს მიიღებენ, ხოლო ე.წ. ბუსტერ დოზით აცრის შემთხვევაში, ამავე ასაკობრივი ჯგუფის პირებს 100 ლარი ჩაერიცხებათ.

საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველო იქნება რეგიონში პირველი ქვეყანა, რომელიც „ფაიზერის“ მიერ შექმნილ კოვიდის სამკურნალო პრეპარატს მიიღებს. „პაქსლოვიდის“ პირველი დოზები ქვეყანაში დღეს შემოვა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებსა და რისკჯგუფების წარმომადგენლებს, ინფიცირების შემთხვევაში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების თავიდან ასაცილებლად, მკურნალობის კურსისთვის საჭირო მედიკამენტის დოზა უფასოდ გადაეცემათ.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

ირაკლი ღარიბაშვილის მიმართვა საქართველოს მოქალაქეებს

დღეს ისტორიული დღეა საქართველოსთვის - ქვეყნის სახელით ხელს ვაწერ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს.

ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე - ეტაპი, რომელიც ჩვენი ისტორიის ახალ ფურცელს შლის და აგრძელებს ჩვენი წინაპრების ძალისხმევას, რომელიც საერთო ევროპულ ოჯახში გაერთიანებისკენ იყო მიმართული.

საქართველო არის ევროპული სახელმწიფო; ჩვენი ქვეყანა, საკუთარი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, ყოველთვის მიეკუთვნებოდა ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის სივრცეს და დღესაც თავისი ღირებული წვლილი შეაქვს მის დაცვასა და განვითარებაში. „ევროპელობა“ სხვა არაფერია თუ არა იმ ღირებულებებისა და ფასეულობების ერთობლიობა, რომელიც ქმნის ევროპას. თვით საქართველოს ისტორია, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაა, არის დასტური იმისა, რომ ეს ფასეულობები ქართველი ადამიანის ბუნებაშია და მაშასადამე, განუყოფელია.

ისტორიამ ქართველი ხალხის ევროპული არჩევანი სტრატეგიულ მიზნად აქცია. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ჩვენი ქვეყანა თანმიმდევრულად განაგრძობს წინსვლას ამ მიმართულებით და დღევანდელი დღე ჩვენი ძალისხმევის კიდევ ერთი დემონსტრირებაა.

დღეს საქართველო, ისე როგორც არასდროს, ახლოს არის ევროკავშირთან.

2014 წელს, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში ხელი მოვაწერე საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, ავიღეთ უდიდესი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რათა წარმატებით დაგვეწყო სვლა ევროინტეგრაციის გზაზე და ჩაგვეყარა მტკიცე და მყარი საფუძველი ჩვენი ქვეყნის საბოლოო ევროპეიზაციისთვის.

საამაყოა, რომ 2014 წლიდან, ჩვენი ხელისუფლების თანმიმდევრულობითა და საზოგადოების მხარდაჭერით საქართველო, როგორც ევროკავშირის ასოცირებული პარტნიორი, წარმატებით ასრულებს შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის ევროკავშირთან სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური დაახლოების კუთხით.

დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, კარგი მმართველობა უკვე ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ვამკვიდრებთ ევროპულ ნორმებსა და სტანდარტებს.

ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ უვიზო მიმოსვლით ევროკავშირის/შენგენის სივრცეში, რაც ძალიან კარგი შესაძლებლობაა ჩვენს საზოგადოებებს და ხალხებს შორის მჭიდრო კავშირების დასამყარებლად.

თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან გვაძლევს შესაძლებლობას, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ბაზარში ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას მივაღწიოთ. ქვეყნის მოდერნიზაცია, ევროპული სტანდარტების შესაბამისად, მთელ რიგ სექტორებში შეუქცევადი გახდა.

შეუქცევადი სწრაფვა ევროპული დემოკრატიის მშენებლობისა და შესაბამისად ევროკავშირის წევრობისკენ საქართველოს გამთლიანებისკენ გადადგმული ნაბიჯია, მჯერა ევროკავშირში ინტეგრაციის გზას ჩვენ ჩვენს აფხაზ და ოს თანამემამულეებთან ერთად გავივლით და მათთან ერთად ავაშენებთ ერთიან ევროპულ, ძლიერ სახელმწიფოს.

ზოგჯერ ევროპაში უჩნდებათ კითხვა: არის თუ არა საქართველო ევროპული კულტურის ქვეყანა. თორემ, ამ კითხვაზე პასუხი საქართველოში ყველასთვის ცხადია. საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა მსოფლიოში.

ფრანგი მოაზროვნის, პოლ ვალერის, დეფინიციის მიხედვით, თუ რომელი ქვეყანა შეიძლება განიხილებოდეს ევროპული სივრცის წევრად, მან სამი ძირითადი კრიტერიუმი ჩამოაყალიბა: 1. ბერძნულ-რომაული კულტურის გავლენა, 2. ქრისტიანული მრწამსი და 3. დემოკრატიული ტრადიცია. ამ კრიტერიუმების მიხედვით, საქართველო, უდავოდ, ევროპული სივრცის, ევროპული ოჯახის წევრია.

საკუთარი ათასწლოვანი კულტურითა და ისტორიით ამაყი ქართველი ერი მუდამ იყო ევროპაზე ორიენტირებული, მისი ღირებულებების ერთგული. მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველმა ხალხმა შექმნა ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული, უაღრესად დემოკრატიული ევროპული სახელმწიფო, რომლის სულისკვეთება და კონსტიტუცია ევროპის დღევანდელ კრიტერიუმებსაც კი ზედმიწევნით შეესაბამებოდა.

1991 წელს აღდგენილი ეროვნული დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობაც ამავე კონსტიტუციას, ევროპულ ღირებულებებს დაეფუძნა და მთავარ გეზად ევროპული ორიენტაცია განსაზღვრა.

ევროპული მომავალი არის საქართველოს ყველა მთავრობისათვის ქართველი ერის მიერ განსაზღვრული პროგრამაც და უალტერნატივო სამოქმედო გეგმაც.

დასასრულს, მინდა მოვიშველიო ცნობილი ქართველი მეცნიერის, ევროპის კონსტიტუციის ავტორის, მიხეილ მუსხელიშვილის (მიშელ მუსხელის) სიტყვები, ადამიანის, რომელმაც გაუსწრო დროს და ერთიანი ევროპის იდეით შეპყრობილმა იწინასწარმეტყველა კიდეც ევროგაერთიანება: „საქართველომ იცის, რომ ევროპას ეკუთვნის. ახლა ევროპამ უნდა გააკეთოს დასკვნები. საჭიროა, საქართველომ დაიმკვიდროს თავისი ადგილი ევროპაში და დასავლურმა ერებმა მიიღონ საქართველო თავიანთ ოჯახში“.

ეს სიტყვები, ისე როგორც არასდროს, პასუხობს დღევანდელ რეალობას. იმედი გვაქვს და ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ დღეს საფუძველი ეყრება ისტორიულ პროცესს, რომელიც საქართველოს ევროპული ოჯახის წევრობამდე მიგვიყვანს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

საქართველოში ამერიკის შეერთებულ შტატებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 30 წლის იუბილე აღინიშნა

„ათწლეულების განმავლობაში თავისუფლებისა და სუვერენიტეტისთვის ბრძოლის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატები იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც აღიარა ჩვენი დამოუკიდებლობა 1992 წლის 24 მარტს; იმ დღიდან მოყოლებული, აშშ-ი გვერდში გვიდგას ჩვენ, ქართველ ხალხს, როგორც ყველაზე ერთგული პარტნიორი და საიმედო მეგობარი;

დღეს საქართველო-ამერიკის ურთიერთობები უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საზეიმო მიღებაზე განაცხადა, რომელიც, მთავრობის მეთაურის სახელით, საქართველო-აშშ-ის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში გაიმართა.

ირაკლი ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა აშშ-ის ელჩ კელი დეგნანს, ასევე ყველა დიპლომატს, თავდაცვის ძალების ოფიცრებს და აშშ-ის საელჩოს თანამშრომლებს, ვისაც წლების განმავლობაში წვლილი შეაქვს მუდმივად მზარდ ორმხრივ პარტნიორობაში. „... ჩემთვის დიდი პატივია თქვენ წინაშე გამოსვლა საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით დღეს, როცა ჩვენ აღვნიშნავთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30-ე წლისთავს. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ დღეს კაცობრიობა დგას იმ უზარმაზარი ტრაგიკული შედეგების წინაშე, რომელიც მოიტანა რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებულმა მოქმედებამ უკრაინაში. ამ ომმა შეარყია არა მხოლოდ რეგიონის, არამედ მთელი მსოფლიოს უსაფრთხოება, სტაბილურობა და მშვიდობა. ჩვენი ქვეყნისთვის, რომელმაც თავად გადაიტანა რუსეთის თავდასხმა 2008 წელს და რომლის ტერიტორიის 20% დღემდე ოკუპირებულია, მშვიდობას არ აქვს ალტერნატივა. საქართველო, აცნობიერებს რა იმ საშინელებას, რომელიც ახლავს ომს, პირველივე დღიდან უცხადებს მხარდაჭერას და სოლიდარობას უკრაინელ ხალხს და მათ ქვეყანას. საერთაშორისო თანამშრომლობას და კონსოლიდირებულ მიდგომას დღეს, როგორც არასდროს, ენიჭება სასიცოცხლო მნიშვნელობა, კანონზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის შესანარჩუნებლად. ათწლეულების განმავლობაში თავისუფლებისა და სუვერენიტეტისთვის ბრძოლის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატები იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც აღიარა ჩვენი დამოუკიდებლობა 1992 წლის 24 მარტს. იმ დღიდან მოყოლებული, აშშ-ი გვერდში გვიდგას ჩვენ, ქართველ ხალხს, როგორც ყველაზე ერთგული პარტნიორი და საიმედო მეგობარი. დღეს საქართველო-ამერიკის ურთიერთობები უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე... ბოლო 30 წლის განმავლობაში აშშ-ის მხარდაჭერისა და მნიშვნელოვანი დახმარების წყალობით, დღეს საქართველო წარმოადგენს გამართულ დემოკრატიას ღია და ქმედითი ეკონომიკით, რომელიც მტკიცედ დგას ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოში USAID-ის მისიის დაარსებიდან დღემდე ორგანიზაციამ საქართველოსთვის და ქართველი

ხალხისთვის გამოყო 1,8 მილიარდ დოლარზე მეტი. მთავრობის მეთაურმა USAID-ის ადმინისტრატორის მოადგილე იზაბელ კოულმენს და ორგანიზაციას მადლობა გადაუხადა ყველაფრისთვის, რაც ამერიკელმა ხალხმა საქართველოს განვითარებისთვის გააკეთა. „ჩვენი მეგობრობა ეფუძნება საერთო ღირებულებებს და საზიარო ინტერესებს. ჩვენ მოწოდებულნი ვართ, კიდევ უფრო გავაღრმაოთ მტკიცე პარტნიორობა ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ყველა სფეროში. საქართველო არის აშშ-ის ერთგული მეგობარი და სანდო მოკავშირე ჩვენს რეგიონსა და მის საზღვრებს გარეთ. ჩვენ ვიდექით და ვდგავართ დემოკრატიული ღირებულებებისა და გლობალური უსაფრთხოებისთვის ბრძოლის წინა ხაზზე... მომდევნო წლებში ჩვენს მიზანს წარმოადგენს ღირებულებების საფუძველზე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის გაღრმავება და ჩვენი დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის შემდგომი განმტკიცება. მინდა, კიდევ ერთხელ დავადასტურო საქართველოს ურყევი გადაწყვეტილება: ჩვენ მომავალშიც გვერდში დავუდგებით ჩვენს ყველაზე მნიშვნელოვან მეგობარსა და სტრატეგიულ პარტნიორს - ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ერთად ჩვენ შევძლებთ მთელ მსოფლიოში დემოკრატიისა და თავისუფლების დაცვას. მადლობას მოგახსენებთ ჩვენს პარტნიორობაში შეტანილი უზარმაზარი წვლილისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ განსაცდელი, რომლის წინაშეც ჩვენ დღეს ვდგავართ, მხოლოდ გააძლიერებს კავშირებს ჩვენს ქვეყნებს შორის და შექმნის კიდევ უფრო მედეგ და ყოვლისმომცველ პარტნიორობას ჩვენს დიდ ერებს შორის. კიდევ ერთხელ ვულოცავ ჩვენს ქვეყნებს ამ შესანიშნავ იუბილეს - ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლისთავს! ღმერთმა დალოცოს ამერიკა! ღმერთმა დალოცოს საქართველო! „ - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ღონისძიების მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა ხსოვნას. სტუმრებს სიტყვით მიმართეს საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა, აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა და USAID-ის ადმინისტრატორის მოადგილემ პოლიტიკისა და პროგრამების საკითხებში იზაბელ კოულმენმა. მიღებას საქართველოს მთავრობის წევრები და აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

არა ომს! დიდება გმირებს! დიდება უკრაინას!

მე-2 გვერდიდან

ომგამოვლილებს ყველაზე უკეთესად გვესმის ომის საშინელება, მშვიდობის და სტაბილურობის შეგრძნება, სურვილი... თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოს იმიჯს მიზანმიმართულად აზიანებს ვაი-პატრიოტთა ჯგუფები, რომლებიც ჩასაფრებულ პოზიციაში არიან ამ უმძიმეს ვითარებაშიც კი. ეს კეთდება მხოლოდ ერთი მიზნით: როგორმე ხელისუფლება ჩაიგდონ ხელში. ღმერთმა დაიფაროს და, რამე რომ მოხდეს, ისინი, როგორც 2008 წელს, ახლაც უკანმოუხედავად მოკურცხლავენ საქართველოდან ან ისევ ტაშ-ფანდურს გააჩაღებენ რუსთაველზე და როკვას დაიწყებენ...

ზოგიერთი ჩემი კოლეგა ოპოზიციის საქციელს შულავერის კრების მონაწილეთა: ფილიპე მახარაძის, მამია ორახელაშვილის და ძმათა მათთა მოღალატურ საქმიანობას ადარებს...

არა მარტო 2008 წლის, არამედ გასული საუკუნის 90-იანი წლების ომგამოვლილი ჩვენი ქვეყანა დიდი საფრთხის ქვეშაა, ბეწვის ხიდზე გადის საქართველოს გადარჩენის გზა, რომლის ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია და რომლის თითქმის ნახევარი მილიონი დევნილია...

მთელი მსოფლიოს ყურადღება უკრაინის სოლიდარობისკენაა მიმართული, მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ გამართულა საპროტესტო აქცია ქვეყნის მთავრობის გადადგომის მოთხოვნით, სწორედ იმ ვითარების დროს, როცა ქვეყანაში ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსის ჯარი დგას... ოპოზიცია არ უშვებს არანაირ შანსს ხელიდან, რომ მთავრობის გადადგომა და თავიანთი ლიდერის განთავისუფლება არ მოითხოვონ...

მადლობა ღმერთს, ირაკლი ღარიბაშვილი, ჩვენი ქვეყნის პრემიერმინისტრი ფრთხილ, გონივრულ, მოზომილ პოლიტიკას ატარებს, რომელიც საქართველოს გადარჩენას, ქართული სახელმწიფოებრიობის გაძლიერებას, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ემსახურება. ის ემოციებზე კი არა, გონების კარნახით იღებს გადაწყვეტილებებს დ ახერხებს კიდეც, ქვეყანა ყველა ხიფათს მაქსიმალურად აარიდოს.

დრო გავა... ისტორია ქვეყნის პირველ პირებს განსჯის იმის მიხედვით, ურთულეს ვითარებაში რამდენად შეძლო შეენარჩუნებინა სიმშვიდე, გადაფარებოდა საკუთარი მოსახლეობის სიცოცხლეს, ქვეყანა გადაერჩინა დაბომბვისაგან, ახალი ტერიტორიების ოკუპაციისაგან...

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, თავისი მწირი ბიუჯეტიდან გამომდინარე, წვლილი შეაქვს. მთელი საქართველო ფეხზე დგას. უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაიღუპა ოთხი ქართველი მებრძოლი, რომელთაგან 3 უკვე ჩამოასვენეს სამშობლოში და მხედრული პატივით დაკრძალეს. მრავალი ქართველი იბრძვის მოხალისედ ამ ომში, რადგან ვთვლით, რომ ომი უკრაინისთვის არის ომი საქართველოსთვის! თითქოს დაგვავიწყდა ჩვენი პრობლემები და მათ დასახმარებლად ქუდზე კაცია მზად. ქართველს არასდროს ესწავლებოდა გაჭირვებულის თანადგომა და ლუკმის გაყოფა, დღესაც ასეა... მარტო ენით ნათქვამი კი არა, გულიდან ამოსულია ჩვენი ხმა: სოლიდარობა უკრაინელ ხალხს!..

ნანგრევებად ქცეული მარიუპოლი, რომლის აღებასაც რუსები გააფთრებით ცდილობენ. ფოტო სატელიტიდან

ნეტავ მალე დასრულდეს ეს კოშმარი!

სამაჩაბლოდან ვარ, იქ დავიბადე და გავიზარდე, ბავშვობა ხალისიანად გავატარე 5 დედმამიშვილთან ერთად. ჩვენი მშობლები მშრომელი, პატიოსანი ადამიანები იყვნენ, ჩვენც ბავშვობიდან მიგვაჩვიეს შრომას. სამედიცინო ტექნიკუმი დავამთავრე და ლარგვისში დავიწყე მუშაობა... მერე ოჯახი შევქმენი... სამი შვილი მყავს, შვილიშვილები...

2008 წლის ომმა ჩემს გულზეც გადაირა და უკრაინის ომის საშინელ და შემზარავი კადრების ცქერა არც ჩემთვის არის იოლი... ცხინვალი ძალიან მიყვარდა, ლამაზი წლები მაქვს იქ გატარებული, მაგრამ დღეს ამ ყველაფერზე რომ ვფიქრობ, გული მტკივა ძალიან... ამ ომებმა უამრავი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა... ომს, სიკვდილს, ეროვნება არა აქვს... არც მიზეზი და გამართლება... უნდა შეწყდეს უკრაინაში ეს ომი...

ჩემმა ოჯახმა, ჩემმა ძმებმა ორჯერ გამოსცადეს ომის საშინელება იარაღასხმულებმა სამაჩაბლოში. მაინც მოუწიათ მშობლიური სოფლის დატოვება, ახალგორში გადმოვიდნენ, სადაც ჩემი ოჯახით ვცხოვრობდი, 2008 წლის ომის შემდეგ ახალგორიც დავტოვეთ... ჩემი ძმები როცა ომში იყვნენ და რასაც განვიცდიდი, იგივეს განვიცდი თითქმის ახლა, როცა ვიცი, რამდენი ჯარისკაცი და მეომარი, მებრძოლი და ქვეყნისთვის თავდადებული ეწირება ამ უსამართლო სასაკლაოს...

ჩემი პატარა შვილიშვილები ომის ეპიზოდებს ხატავენ დანაღვლიანებულები... ჩვენი ქვეყნის მეთაური ირაკლი ღარიბაშვილი ყველანაირად ცდილობს ქვეყანა აარიდოს ომში ჩათრევის მცდელობას... სიფრთხილეს, წინდახედულებას იჩენს ქვეყნის მოსახლეობის დასაცავად... ღმერთმა ინებოს, მალე დასრულდეს ეს კოშმარი...

ბელა ბერუაშვილი
წეროვნის დევნილთა დასახლება

მარტის კალენდარი

საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია წელს, 31 მარტს, 83 წლის გახდებოდა

პირველი გვერდიდან

ზვიად გამსახურდია იყო მთავარი ორგანიზატორი 1987-1990 წლებში გამართული თითქმის ყველა ძირითადი მშვიდობიანი მასობრივი აქციისა, მათ შორის 1989 წლის აპრილის საპროტესტო აქციისა, რომელიც დასრულდა 9 აპრილს სისხლიანი დარბევით, რის შემდეგაც ზვიად გამსახურდია დააპატიმრეს, როგორც აქციის ორგანიზატორი. მერაბ კოსტავას დაღუპვის შემდგომ ზვიად გამსახურდია სათავეში ჩაუდგა „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოებას“.

1990 წლის მარტში მოხდა განხეთქილება ეროვნული მოძრაობის ძალებს შორის. პარტიათა ერთ ნაწილს აუცილებლად მიაჩნდა საბჭოთა კავშირის კანონებით არჩევნების ჩატარება, არჩევნების მოგება და ამ გზით მოპოვებული ხელისუფლების გამოყენება საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან კანონიერი, ლეგიტიმური გასვლისათვის. ამ გზას მაშინ „ლიტვის გზას“ უწოდებდნენ, რამდენადაც ლიტვამ 1990 წლის 11 მარტს სწორედ ასე დაიწყო სსრკ-დან გასვლა. სხვა ძალები არჩევნების გზით პოლიტიკურ განვითარებას შეუძლებლად თვლიდნენ და მოითხოვდნენ საბჭოთა არმიის გაყვანას საქართველოდან. ზვიად გამსახურდია გაემიჯნა ამ უკანასკნელებს და შექმნა პოლიტიკური ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“. ბლოკმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველ დემოკრატიულ და მრავალპარტიულ არჩევნებში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე (1990 წლის 14 ნოემბერი) ზვიად გამსახურდია აირჩიეს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. ამ მოვალეობას ის 1991 წლის მარტამდე ასრულებდა. აღნიშნული სესიის გადაწყვეტილებით ქვეყანას ეწოდა “საქართველოს რესპუბლიკა”; აღადგინეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სახელმწიფო ატრიბუტიკა (დროშა, გერბი და ჰიმნი). ამასთან, დამოუკიდებლობის აღდგენამდე გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი.

1991 წლის მარტში უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდია აირჩია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად, რაც დადასტურებულ იქნა იმავე წლის 26 მაისის საყოველთაო-სახალხო საპრეზიდენტო არჩევნებზე მისი გამარჯვებით.

ზვიად გამსახურდია ხელისუფლებაში იყო 1992 წლის 6 დეკემბრამდე, რასაც წინ უძღვოდა დაპირისპირება ოპოზიციასთან. ოპონენტები მწვავედ აკრიტიკებდნენ მას, როგორთ თავად უწოდებდნენ “მიუღებელი დიქტატორული ქცევისთვის”, რაც მის პრეზიდენტად არჩევამდეც იყო მისი კრიტიკის საგანი.

პოლიტიკური უთანხმოება მწვავე წინააღმდეგობაში გადაიზარდა 2 სექტემბერს, როდესაც ანტისამთავრობო დემონსტრაცია თბილისში პოლიციამ დაარბია. ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო ეროვნული გვარდიის გაყოფა პრო- და ანტისამთავრობო ნაწილებად. შეტაკებები ორ მხარეს შორის პერიოდულად ხდებოდა თბილისში ოქტომბრისა და ნოემბრის პერიოდში, რასაც მსხვერპლიც მოჰყვა. 1991 წლის დეკემბერს ოპოზიციამ რამდენიმე შენობაზე, მათ შორის საქართველოს პარლამენტზე, სადაც გამსახურდია იმყოფებოდა, იერიში მიიტანა. მძიმე ბრძოლები თბილისში გრძელდებოდა 1992 წლის 6 იანვრამდე, რის გამოც სულ მცირე 113 ადამიანი დაიღუპა.

6 იანვარს გამსახურდია მთავრობის წევრებთან ერთად ჯერ აზერბაიჯანში, შემდეგ სომხეთში, იქიდან კი ჩეჩნეთში გადავიდა, სადაც მას ჯოხარ დუდაევის მთავრობამ თავშესაფარი უბოძა.

ზვიად გამსახურდია 1993 წლის 31 დეკემბერს ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში გარდაიცვალა. მისი სიკვდილის მიზეზი ამ დრომდე უცნობია. 1994 წლის თებერვალში ის გროზნოში გადაასვენეს და დაკრძალეს.

2007 წლის 1-ელ აპრილს ზვიად გამსახურდიას ნეშტი მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმი – 31მარტი, 1991 წელი

1991 წლის 31 მარტს, საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, ჩაატარა რეფერენდუმი – საერთო-სახალხო კენჭისყრა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხზე.

რეფერენდუმი დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 28 თებერვლის დადგენილების საფუძველზე, რომლითაც გაუქმდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 17 მარტს დანიშნული რეფერენდუმი სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხზე და 1991 წლის 31 მარტს დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე კითხვით: „თანახმა ხართ თუ არა აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“

რეფერენდუმი ჩატარდა 1991 წლის 31 მარტს მთელი საქართველოს მასშტაბით. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო სამხრეთ ოსეთის ყოფილი ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობამაც. რეფერენდუმში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 3.302.572 ადამიანს (ამომრჩეველთა 90,3 პროცენტი). მონაწილეთა 98,9 პროცენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. რეფერენდუმის შედეგად, იმავე წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. იმავე დღეს აშშ-ის სენატმა საგანგებო რეზოლუციით ლეგიტიმურად ცნო 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები, რაც წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტო ცნობას.

25 მარტი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეა

გადმოცემის მიხედვით, სულთმოფენობის შემდგომ, როცა მოციქულებმა წილი ჰყარეს და სხვადასხვა ქვეყანაში წავიდნენ საქადაგებლად, საქართველო ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ერგო, მაგრამ მაცხოვრის გამოცხადებით თავის ნაცვლად ივერიაში წამოსასვლელად წმიდა ანდრია პირველწოდებული აკურთხა და თან თავისი ხატი გამოატანა.

წმიდა ანდრიამ და წმიდა სვიმონ კანანელმა ქრისტეს სჯული იქადაგეს დიდაჭარაში, სამხრეთ საქართველოში, შემდგომ შავი ზღვის მთელ სანაპიროზე, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

IV საუკუნის დასაწყისში, სანამ აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდებოდა, დასავლეთში, კერძოდ, ბიჭვინთაში, საეკლესიო იერარქია უკვე არსებობდა: პირველ მსოფლიო კრებას ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი.

IV საუკუნის დასაწყისში, როცა რომში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, წმიდათა მოციქულთასწორთა მირიან და ნანას მეფობის ჟამს, ღვთის სიტყვის საქადაგებლად ჩამოვიდა წმიდა ნინო. შემდეგ, მირიან მეფის თხოვნით, წმიდა კონსტანტინე დიდმა გამოგზავნა იოანე ეპისკოპოსი (325 წელს ნიკეის I საეკლესიო კრებამ იგი ანტიოქიის პატრიარქად აირჩია) ორი მღვდლითა და სამი დიაკვნით, რომელთაც ნათელ-სცეს ქართველებს. ასე ჩაეყარა საფუძველი საქართველოს ეკლესიას. იოანეს ანტიოქიის პატრიარქად არჩევამ განაპირობა ის ფაქტი, რომ კრებამ საქართველოს ეკლესიაც ანტიოქიის საპატრიარქოს მიათვალა.

წმიდა მეფის ვახტანგ გორგასლის დროიდან ქართლის ეკლესიას გააჩნდა საკუთარი საეკლესიო კრება, რომელიც უფლებამოსილი იყო თვისი შინაგანი საქმეები, ეპისკოპოსთა ხელდასმა-გადაყენება, თვითვე განეგო. ეკლესია დამოუკიდებელი გახდა.

იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმისა და ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს დროს ანტიოქიის ეკლესიის ადგილობრივმა კრებამ გადაწყვიტა, ქართლის ეკლესიისთვის მიეცა კათოლიკოსთა ხელდასხმის უფლება, სამაგიეროდ ქართლის ეკლესიას ანტიოქიიდან უნდა მიეღო მირონი და მასში 1000 დრაჰკანი გადაეხადა. ამასთან, ქართლის ეკლესიის წირვა-ლოცვაში პირველ ადგილზე უნდა მოეხსენებინათ ანტიოქიის პატრიარქი. ცოტა მოგვიანებით საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ღირსი მამა ეფრემ მაწყვერელის ღვაწლით მიიღო მირონის კურთხევის უფლება.

საქართველოს ეკლესია მაჰმადიანურ სამყაროსთან ჭიდილში საუკუნეების მანძილზე მოძღვრავდა, ზრდიდა და სულიერად კვებავდა ქართველობას.

1801 წელს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს, რომლის მიხედვითაც საქართველოს მრავალსაუკუნეობრივმა სახელმწიფოებრიობამ არსებობა შეწყვიტა და ოდესღაც დიდი ქვეყანა ორი გუბერნიის სახით შეუერთდა რუსეთის იმპერიას.

1801 წლის აქტის შემდეგ საქართველოს მთავარმართებელი უხეშად ერეოდა საქართველოს ეკლესიის საქმიანობაში. მალე გაირკვა, რომ რუსეთის მთავრობას განზრახული ჰქონდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და მისი რუსეთის სინოდისადმი დაქვემდებარება.



1811 წლის 10 ივნისს ალექსანდრე I სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ანტონ II-ს სწერდა, რომ საქართველოს სამეფოს რუსეთის სახელმწიფოსთან შემოერთების შემდეგ საქართველოს ეკლესიაც უნდა გაერთიანებულიყო უწმიდესისა და უმართებულესის სინოდის გამგეობაში. ახალ მართვა-გამგეობასთან მოუთავსებელი იქნებოდა საქართველოში კათოლიკოსის ყოფნა. ასე გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ანტონ II რუსეთში გადაასახლეს.

დაიწყო მძიმე წლები ქართული ეკლესიის ისტორიაში. საქართველოს ეკლესიას რუსეთის სინოდი ხელმძღვანელობდა ეგზარხოსის მეშვეობით. 1811-1817 წლებში ამ მოვალეობას ასრულებდა ვარლამ ერისთავი. მის შემდეგ ყველა ეგზარქოსი რუსი იყო. ისინი ძარცვავდნენ მტერთა შემოსევებს გადარჩენილ ქართული ოქრომჭედლობისა და ტიხრული მინანქრის უიშვიათეს ნიმუშებს და რუსეთში გაჰქონდათ. მოიშალა საეკლესიო კათედრები. 24 ეპარქია საეგზარქოსომ ხუთ ეპარქიამდე შეამცირა. ქართული წირვა-ლოცვა, მრავალხმიანი ქართული საგალობლები შეიცვალა რუსულით. სულ რაღაც ორიოდე წლის განმავლობაში საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ის, რასაც საუკუნეების მანძილზე რუდუნებით აშენებდა და აგროვებდა. ყოველივე ამან მოსახლეობის აღშფოთება და გაბოროტება გამოიწვია. ამ პროცესს აჩქარებდა ეგზარქოსების აშკარად გამოხატული ანტიქართული საქმიანობა.

საქართველოში იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლის წინ ეგზარქოსმა ევგენიმ, „სანიტარული წესრიგის“ საბაბით, თეთრად შეალესინა სვეტიცხოვლის, ალავერდის, ერთაწმიდის უნიკალური ფრესკები. პავლე ლებედევმა, სემინარიის რექტორ ჩუდეცკისთან ერთად, გაძარცვა ხახულის ღვთისმშობლის ხატი, მიიტაცა ოქროსა და ვერცხლის ხატები, საეკლესიო ნივთები. ეგზარქოსმა, ჩუდეცკის მკვლელობის გამო, სიონის ტაძრის ამბიონიდან დაწყევლა ქართველი ერი, დიმიტრი ყიფიანმა საჯაროდ ამხილა ეგზარქოსი და უთხრა, რომ უფლება არ ჰქონდა დარჩენილიყო იმ ერის სულიერ მამად, რომელიც ანათემაზე გადასცა. ამ მხილების გამო მხცოვანი მამულიშვილი სტავროპოლში გადაასახლეს და განთავისუფლების წინა დღეს მოკლეს.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა, ქართველ სამღვდელოებასთან ერთად, დაი-

დასასრული მე–11 გვერდზე

დამწვარი ხატები და ორმოში ჩაყრილი ძველი წიგნები



ისტორიკოსი დავით ახლოური მეტად საჭირო და საშვილიშვილო საქმიანობას ეწევა ქსნის ხეობის სოფლების ისტორიის შესწავლის საქმეში. მისი ნაშრომები ხშირად იბეჭდება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, რაც მკითხველის მოწონებას და ინტერესს იმსახურებს. ამჯერად ვბეჭდავთ ამონარიდებს ლარგვისის ისტორიიდან, რომელიც შესულიადავით ახლოურის ნაშრომში: „ქსნის ხეობის ისტორიიდან“.

ბედი ლარგვისის მონასტერში შემონახული ქართული საგანძურისა

ლარგვისი მდებარეობს საძეგურის ჩრდილოეთით, მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს, ახალგორიდან 18 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1110 მეტრზე. იგი გახლავთ სოფლების: ლარგვისის, გარუეთის, გავაზის, დორეთკარის, დოგუზაანის, ველისას, კარას, კუცხოეთის, მშველიეთის, საბარკლეთის, ჩკუნეთის, ცხავატის, ძანგათის, ხარბალის, ხრამისწყაროს სათემოს ცენტრი. საბჭოთა ეპოქაში ლარგვისის მაშინდელ სოფსაბჭოში შედიოდა ასევე ცხრაზმის ხეობის სოფლები: დაბაკნეთი, დადიანეთი, ზოდეხი, თოხთა, მარტიანი, მახიარეთი, მუჯუხი, უკანამხარე, უკანუბანი, ყველდაბა, ჩიტიანი. ლარგვისი ისტორიულად ოდითგანვე იყო ქსნის ხეობის მთიანი ნაწილის დამაკავშირებელი. აქ ერთდებოდა ჭურთის, ქარჩოხ-ჟამურისა და ცხრაზმის ხეობებიდან მომავალი გზები, რამაც ხელი შეუწყო იმ ფაქტს, რომ იგი იქცა ცხრაზმის საერისთავოს ადმინისტრაციულ ცენტრად.

სოფლის და მთლიანად ქსნის ხეობის მნიშვნელოვან ღირშესანიშნაობას წარმოადგენს მდინარე ქსნის მარჯვენა მხარეს მდგარი ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომელიც შედგება კოშკებიანი ციხე გალავნის, წმინდა თეოდორეს სახელობის გუმბათოვანი ეკლესიის, საცხოვრებელი ნაგებობების და ცალკე მდგარი კოშკისგან. ლარგვისის არქიტექტურულ ანსამბლს არაერთმა ცნობილმა მეცნიერმა მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი, მათ შორის პარმენ ზაქარაიამ, რომელმაც სამართლიანად მიიჩნია იგი შუა საუკუნეების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და დიდებულ ძეგლად.

წყალდიდობისა თუ მტერთა ძალადობისაგან ბევრჯერ დაზიანებული ტაძარი არაერთხელ აღუდგენიათ და შეუმკიათ. განსაკუთრებით ზრუნავდნენ მასზე ქსნის ერისთავები, რაც ჩანს, როგორც მათი საგვარეულო მატიანედან, ისე ისტორიული სიგელ-გუჯრებიდან.

ლარგვისი იყო ერთ-ერთი საიმედო სახიზარი სვეტიცხოვლის განძისა: „1723 წელს ყოველი სვეტიცხოვლის სამკაული ლარგვისში იყო გახიზნული, - გვირგვინი გ; ხატი მურასა დ; ბისონი ვ; წიგნი მრავალი და გუჯარნი სრულიად, ყოველნი სამსახურებელნი დიდისა კათოლიკე ეკლესიისა” - გვამცნობს ტაძრის სვინაქსარი.

საუკუნეების განმავლობაში ლარგვისი იყო ქართული კულტურის მძლავრი კერა, სადაც დაიწერა ჩვენს მიერ უკვე მრავალჯერ ნახსენები „ძეგლი ერისთავთა”, რომელიც არის „ქართლის ცხოვრების” გადამუშავებული წყარო და მნიშვნელოვანი ძეგლი ქართული ისტორიული მწერლობისა. როგორც სიმონ ჯანაშია აღნიშნავს, მისი, „როგორც სოციალური ისტორიის დოკუმენტის მნიშვნელობა, სცილდება საქართველოს ფარგლებს. ლარგვისში მოღვაწეობდა ქვეყნისთვის დამაშვრალ მამულიშვილთა მთელი დასი, მათ შორის ცნობილი დიპლომატი და მწიგნობარი პიპა ქვენიფნეველი, იოანე, ავგაროზ და გრიგოლ ბანდაისძეები, გიორგი თაბაური, რომელსაც ქსნის ერისთავის ვირშე-

ლისთვის სახარება გადაუწერია, ბარნაბა, იოანე მხატვარი, შალვა ოქრომჭედელი და სხვები(ახლოური, ქართული კულტურის კერები, 2013)... სამწუხარო რეალობაა, რომ ლარგვისის უმდიდრესი საგანძურიდან ნივთების დიდი ნაწილი უკვალოდ გაქრა, მხოლოდ მცირე რამ გადაუტანიათ თბილისის საეკლესიო მუზეუმში...

მახსენდება 1895 წელს ჟურნალ „კვალში” გამოქვეყნებული საზოგადო მოღვაწის ილარიონ ჯაშის წერილი; ილარიონის მამა ლარგვისის სამრევლო ეკლესიის მედავითნე-დიაკვანი იყო და მას მოუყოლია შვილისთვის, თუ რა გადახდა ეკლესიას მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში...

1877 წელს მონასტერში გავრცელდა ხმა, ეგზარქოსი ევსევი „რევიზიაზე” მოდის, მას ძველი ნაწერები, ხატები და სხვა ნივთები ძალიან ეჯავრებაო. „რადგანაც ლარგვისის ეკლესია სავსე იყო ძველი რაგინდარით, ამისთვის ამ ამბავმა ძალიან შეგვაშინა და გადავწყვიტეთ შემდეგი: ძველი ფიცრის ხატები დაგვეწვა და ნაცარი ქსანში ჩაგვეყარა, ხოლო ძველი წიგნებისთვის და სხვა ნივთებისთვის გაგვეთხარა ორმო და შიგ ჩაგვეყარა. ასეც მოვიქეცით. შესაძლებელია ეს ამბავი იცოდეს მაშინდელმა მნათემ, სოფელ მონასტერში მცხოვრებმა როსტომ ზარიძემ ან აზნაურმა ეგნატე ჟურულმა. კარგი იქნება შეუდგეს ვინმე იმ ადგილის ძებნას, უეჭველია კიდევ გადარჩებოდა რამე”.

ევსევი, რომელიც 1858-1877 წლებში საქართველოს ეგზარქოსი იყო და მის დროს ქართული ეკლესია-მონასტრები უღვთოდ გაიძარცვა, ლარგვისში არ წასულა... უნიკალური განძი კი სამუდამოდ გამქრალა მონასტრიდან...

გაგრძელება მე–10 გვერდზე

ბედი ლარგვისის მონასტერში შემონახული ქართული საგანძურისა

მე–9 გვერდიდან

1958 წელს, როცა ვახტანგ ბერიძეს ტაძარი მოუნახულებია, იგი დაკეტილი და დაცარიელებული დახვედრია, არც კანკელი ყოფილა, აღარც ხატები, აღარც საეკლესიო ჭურჭელი და საღვთო წიგნები... მძარცველებს ეკლესიის ორი სარკმელი გამოენგრიათ, იმ იმედით, რომ კედლებში ჩატანებულ ფულს იპოვიდნენ. ლარგვისის მონასტრის ძველი დიდების გაფერმკრთალებაზე ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მიგვანიშნებდა ვახუშტი ბატონიშვილი: „არს მონასტერი ლარგვისი, წმიდის თევდორესი, აღმოსავლით უდის ქსანი, სამხრით ჭურთის წყალი, უგუმბათო, შემკული ყოვლითა, აწ ხუცის სამარ"...

ლარგვისი

არადა, საუკუნეების მანძილზე ლარგვისი იყო ქართული კულტურის ერთ-ერთი მძლავრი კერა და საიმედო სახიზარი სვეტიცხოვლის განძისა: „1723 წელს ყოველი სვეტიცხოვლის სამკაული ლარგვისში იყო გახიზნული, - გვირგვინი გ; ხატი მურასა დ; ბისონი ვ; წიგნი მრავალი და გუჯარნი სრულიად, ყოველნი სამსახურებელნი დიდისა კათოლიკე ეკლესიისა" - გვამცნობს ტაძრის სვინაქსარი. ბუნებრივია, არც სამეფო კარის ყურადღება აკლდა წმინდა თეოდორეს ტაძარს; გამორჩეულად ზრუნავდა მასზე ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII. ჯერ კიდევ უფლისწულს, 1781 წელს ეკლესიისთვის შეუწირავს მოოქროვილი ვერცხლის ჯვარი და ვერცხლის გარეკანში მოქცეული დაბეჭდილი სახარება. ლარგვისის მონასტრისადმი სხვა უფლისწულებიც იჩენდნენ რიდსა და პატივისცემას. მაგალითად, 1678-80 წლებში ლევან ბატონიშვილს აბრეშუმის ქამრის ვერცხლის ბალთა შეუწირავს, 1739 წელს - ბაქარს ვერცხლის ყდაში ჩასმული მოსკოვში დაბეჭდილი სახარება.

...

ლარგვისის, ისევე როგორც ზოგადად ქსნის ხეობის, დემოგრაფიულ ვითარებას მნიშვნელოვანი დაღი დაასვა თემურ-ლენგის ლაშქრობამ. „ძეგლი ერისთავთას" მიხედვით „თემურ ვითარცა მოახრა ყოველი და ტყუენა, წარვიდა შამს, ხოლო ტყუე და ალაფი ყოველი გაგზავნა სამარყან. და დარჩეს ერისთავსა (ვირშელ მესამეს - დ.ა) ზემოი თავადი ციხე ქვენიფნევს და სახლები ი (10 - დ.ა) და ციხე ქოლოთისაი, ციხენი ისროლისანი, ციხე ბეხუშისაი, ციხე უკანუბნისანი, სახლნი ნაკაფოვნისაი და სხუა ყოველი აღაოხრეს" (მესხია, „ძეგლი ერისთავთა", 1954) მძიმე დემოგრაფიული ვითარება კიდევ უფრო დაუმძიმებია თავს დატეხილ ჟამიანობას. ლარგვისის პარაკლიტონის მინაწერის მიხედვით, მის ავტორს გრიგოლ ბანდაისძეს „თემურ-ლენგის შემოსევის შემდეგ 5 ძმა, ცოლი და 6 შვილი დაღუპვია რაღაც მოარული სენით" (ტაბატაძე, 1979), რის შემდეგაც იგი ბერად აღკვეცილა და თემურ-ლენგის მიერ დაქცეული მონასტრის აღდგენასა და „მოშლილი ხატების" შემკობაზე უზრუნია. აღუშენებია და მოუხატია კარიბჭე, ასევე შიგნით ეკლესია, შეუწირავს ვერცხლის კანდელი და ორი საცეცხლური, გაუმრავლებია ხელნაწერი წიგნები, აუგია მარანი ორი ჭურით, „ზედა სამყოფი სახლი, ბეღელი, საწოლი, დერეფანი, სამრეკლოი და ბოსელი" და დაუბურავს „ყოველი სიპითა" (მენაბდე, 1962). დაქცეულის აღდგენასა და შემკობასთან ერთად, ხელნაწერი წიგნების გამრავლებაც ფრიად საშური საქმე იქნებოდა იმ დროს. სავარაუდოდ, ლარგვისის მდიდარი ბიბლიოთეკაც განიძარცვებოდა თემურ-ლენგის მიერ. როგორც ვიცით, საქართველოში პირველი ლაშქრობისას მან თბილისიდან სამეფო ბიბლიოთეკა წაიღო. ეკლესიებიდან წიგნების გატანაზე საუბრობს იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში": „ეკლესიათა და სხვათა ადგილთაგან განიხვნა მრავალნი საღმრთო, და საერო წიგნები, და გაგზავნა სამარყანდს... ესე წიგნები აწყვია მას აქეთ სამარყანდის მეჩეთსა შინა, რომელსა აქუს რკინისა ფანჯარანი, და კარიცა, და კარი იგი არს დაკეტილი და დაბეჭდილ, და ზედან აწერია წყევა (წყევლა - დ.ა.), რომელ არავინ განიღოს მუნიდგან წერილნი; და ამის გამო მრავალი წიგნი დაეკარგათ ქართველთა, რომელიც აღარა აქუთ, ვინათგან მას ჟამსა არ იყო სტამბა"... თემურს თვითონ წერა-კითხვა არ სცოდნია, მაგრამ ჰყოლია სპეციალური წამკითხავები და ჰყვარებია ნათლად და გასაგებად დაწერილი ტექსტები. ყოველივე აქედან გამომდინარე, მძიმე განსაცდელგამოვლილი გრიგოლ ბანდაისძე გვევლინება ღვთის კაცად და ხატად იმ მცირეოდენი გადარჩენილი მოსახლეობისა, რომელიც უჟამო ჟამის მიუხედავად არ დაეცა და ღირსეულად გააგრძელა საუფლო საქმე...

როდიდან ჰქვია ლარგვისს ლარგვისი?

საყურადღებოა სოფლის სახელწოდებაც. 1774 წელს ორივე სახელია მითითებული - ლარგვის მონასტერს. მომდევნო აღწერებში მხოლოდ - მონასტერი. იგივე სახელწოდებითაა მოხსენიებული იოანე ბაგრატიონის 1894-1899 წლების ქართლ-კახეთის აღწერაში - „ქ. მონასტერი, მოსახლენი" (ბაგრატიონი იოანე, 1986). თავის რუკაზე და აღწერაში ვახუშტი ორივე სახელწოდებას ახსენებს. 1890 წლის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მიწათმფლობელობის შესახებ მონაცემების კრებულში საუბარია მონასტრის სასოფლო თემზე და სოფელზე: მონასტერი პირველი, რადგან ამონაწერში ამ სახელწოდების კიდევ ორი სოფელი გვხვდება: მონასტერი მეორე (წირის სასოფლო თემი) და მონასტერი მესამე (ზემო ალევის სასოფლო თემი). პაგირევის 1914 წლის საძიებელში ლარგვისითაა ცნობილი, 1946 წლის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს

25 მარტი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეა

მე-8 გვერდიდან

წყეს ზრუნვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი, წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძე, ხს. 20 ივნისს) მეთაურობით, მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს ეახლა და ოფიციალურ დონეზე მოსთხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა. მეფის მთავრობამ დანიშნა სხდომა, სადაც უარყვეს ქართველი საზოგადოების სამართლიანი მოთხოვნები.

1917 წლის 12 (25) მარტს, ქართველმა სამღვდელოებამ საგანგებო კრებაზე მიიღო შემდეგი შინაარსის დოკუმენტი: 1) ამიერიდან, 12 მარტიდან, გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია; 2) დროებით, კათოლიკოსის არჩევამდე, ეკლესიის გამგედ დაინიშნა გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე; 3) საქართველოს ეკლესიის მმართველობა ევალება აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შედიან როგორც სასულიერო, ისე საერო პირები.

იმავე წლის სექტემბერში, ქართულმა ეკლესიამ, 106 წლიანი იძულებითი შუალედის შემდეგ, კვლავ აირჩია კათოლიკოს-პატრიარქი. ეს პატივი და ჯვარი წილად ხვდა ავტოკეფალიისათვის დაუცხრომელ მებრძოლს, კირიონს, რომელიც შემდგომ ვერაგულად მოკლეს მარტყოფის მონასტერში.

ღვთის განგებით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მსოფლიოს ყველა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ აღიარა, მაგრამ არ არსებობდა ამ აღიარების წერილობითი დასტური, რომლის უქონლობის გამოც, ჩვენს წმიდა წინაპრებს ხშირად უხდებოდათ ბრძოლა საქართველოს მრავალტანჯული ეკლესიის დამოუკიდებლობის დასამტკიცებლად.

ღვთის შეწევნითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაუღალავი მოღვაწეობით, მსოფლიოს საპატრიარქომ 1990 წელს ოფიციალურად ცნო და აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობა. ამავე წლის 4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულის დღეს, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსმა და მსოფლიო პატრიარქმა ყოვლადუწმიდესმა დიმიტრიოსმა საზეიმო ვითარებაში გადასცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II-ს საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების, და საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურის საპატრიარქოს ტიტულის ცნობისა და ბოძების სიგელები.

ეს იყო უდიდესი გამარჯვება და სიხარული. ამ ამბავს გამოეხმაურა სრულიად საქართველო, როგორც უწმიდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აღნიშნა, ეს იყო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის საზეიმო და საბოლოო აღიარება.

თანაკლასელები სამძიმარს უცხადებენ მაია გიგაურს დედის

მარგო ნიაურის

გარდაცვალების გამო.

მიერ გამოცემულ ქართულ ხუთკილომეტრიან რუკაზე კი ისევ მონასტერს ვხვდებით. ასე, რომ ამ დიდებული ეკლესიის გამო სოფელი ლარგვისთან ერთად მონასტრის სახელწოდებასაც ატარებდა, რაც არ იქნებოდა მისაღები საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ამიტომაც, **1948 წლის 28 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიც ვკითხულობთ: შეეცვალოს სახელი საქართველოს სსრ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფელ მონასტერს და ეწოდოს სოფელი ლარგვისი, ხოლო მონასტრის სასოფლო საბჭოს - ლარგვისის სასოფლო საბჭო”**. ბრძანებას ხელს აწერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა და პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948). ეს დადგენილება თავის მხრივ მიგვანიშნებს, რომ სოფლის ოფიციალური სახელი მონასტერი იყო... თვითონ ტოპონიმ ლარგვისთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ჯ. გვასალიამ, რომლის მიხედვით იგი ქართულ-სვანურის მიხედვით ჩანს ნაწარმოები: „მისი ძველი ფორმაა „ლარგუ”. ლარგვისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მთიან ფერდს ეწოდება „ლაგური”, რომელიც იშლება: ლაგურ, სადაც „ლა” სვანური პრეფიქსია, ხოლო „გურ” სვანურად ნიშნავს შუა ადგილს”. მკვლევარის აზრით, ასეთი მნიშვნელობა მიესადაგება ლარგვისის მდებარეობას, რომელიც სამი ხეობის გზაგასაყარზეა. დაბოლოს დასკვნა „გვაქვს ლაგურ>ლარგუ> ლარგუისი, ე.ი. ადგილი აქვს მეტათეზისს გ-რ და ქართული „ის” სუფიქსის დართვას” .

გასული საუკუნის სამოციან წლებში ლარგვისში უცხოვრიათ ზარიძეებს, მელთაურებს, შერმადინებს, რუსიტაშვილებს, ბერიანიძეებს, ბუთხუზებს, ოდიშვილებს... ყველაზე მეტი ყოფილა ზარიძე. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისგან განსხვავებით, მომდევნო საუკუნეებში ლარგვისის მოსახლეობის რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ცნობილია, რომ 1811 წლის მონაცემებით ლარგვისის საარქიმანდროში 40 კომლი გლეხი აღირიცხებოდა. საარქიმანდროში, ცხადია, მთლიანად მონასტრის ანუ ქრისტეს სამწყსო იგულისხმება.

2002 წლის მონაცემებით, ლარგვისში 259 ადამიანი ცხოვრობდა, 122 მამაკაცი და 137 ქალი, მოსახლეობის 97 % ქართველები იყვნენ.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კი დემოგრაფიული ვითარება მკვეთრად გაუარესდა, მიუხედავად ამ მძიმე ვითარებისა, საბედნიეროდ, ლარგვისის მონასტერში დღეს წირვა-ლოცვა აღევლინება. როგორც ვიცით, 1995 წლიდან ახალგორი ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის შემადგენლობაში შევიდა, რომლის მიტროპოლიტი მეუფე ისაია უკვე წლებია ლარგვისის მონასტერში მოღვაწეობს და ყურადღებას არ აკლებს ახალგორის ეკლესია-მონასტრებს. ღვთის წყალობით ქართული ეკლესია-მონასტრები დაიბრუნებენ მრევლს, დაიბრუნებენ მათ შთამომავლებს, ვისაც საუკუნეების განმავლობაში ულოციათ, შესაწირი შეუწირავთ და ბოლოს ეკლესიების გვერდით მოუპოვებიათ სამუდამო განსასვენებელი.

დავით ახლოური,

წიგნიდან „ქსნის ხეობის ისტორია”, ტ. 2, 2021 წელი

წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მარტი აქტიურად გაატარეს

მარტის თვე საინტერესო და ნაყოფიერი იყო წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის. ისინი სხვადასხვა კონკურსსა და აქტივობაში იყვნენ ჩართულები და წარმატებასაც მიაღწიეს.

აღსანიშნავია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ ჩატარებული გამოფენა და კონკურსი გენდერული თანასწორობის თემაზე, რომელშიც ჩვენი მოსწავლეები დიდი მონდომებით და ხალისით ჩაერთვნენ. მათი ნახატები თემის აქტუალობას კარგად გამოხატავდა. გამარჯვებული მოსწავლეები ევროკავშირის სიმბოლიკიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

არაერთი საინტერესო აქტივობა განხორციელდა სკოლაში პროექტის SHE'S GREATფარგლებში, რომელიც ორგანიზაცია IREX-ის და საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის მხარდაჭერით მიმდინარეობდა. პროექტის მიზანია არსებული გენდერული სტერეოტიპების გარდაქმნა, ინკლუზიური საზოგადოების შექმნის ხელშეწყობა და ახალგაზრდებში ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარება.

პროექტის ფარგლებში სკოლაში შეიქმნა კლუბი, ჩატარდა ტრენინგები და სხვადასხვა სასწავლო ფესტივალი. ასევე, მოსწავლეები ეწვივნენ კასპის ტექნოპარკსაც, სადაც მათ ვორქშოპები – მონაცემთა ვიზუალიზაცია, 3D მოდელირება და პრინტინგი ჩაუტარდათ. მოსწავლეებმა შექმნეს და დაბეჭდეს პოსტერები ცნობილ ფემინისტ ქალებზე.

პროექტის მე-3 ფაზის ფარგლებში სკოლაში მოეწყო მულტიფუნქციური საბავშვო სივრცე, რომელიც გამოიყენება სამეცადინოდ, კითხვისა და ჯგუფური სამუსაოების შესასრულებლად. ასევე, კინოჩვენებისა და გამოფენებისთვის.